ᲔᲠᲠᲠ

გამოიცა `ქალთა ფონდი საქართველოში' ფინანსური მხარდაჭერით

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

მინადორასერვერის კოლექტივის წევრები ერთმანეთთან ალტერნატივების ძიებისთვის გაერთიანდნენ. ალტერნატივის ძიება კი იწყება სტატუს-კვოს კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებით. შეიძლება ხშირად არ ვიცოდეთ როგორია მოცემულობის ალტერნატიული სცენარი ან რა არის ის განსხვავებული, რისკენაც მივისწრაფით, თუმცა კითხვის დასმა და ძიების დაწყება - არის საწყისი წერტილი კვლევის, გაერთიანების ან თავად განსხვავებულის შექმნისა. განსხვავებული შეიძლებოდა ყოფილიყო ბევრი რამ: ინტერნეტი, ხელოვნება, ეკონომიკური სისტემა, სოციალური და პოლიტიკური წყობა, ან ეს ზინი. ჩვენს შემთხვევაში, განსხვავებული არის ქსელი/პლატფორმა, სახელოვნებო ხელსაწყოები და მათდამი დამოკიდებულებები.

დღევანდელი ქსელის, ან უფრო კონკრეტულად სოციალური ქსელის აღქმა ფორმირებულია რამდენიმე კორპორაციის მიერ, ე.წ. დიდი ტექი (ან GAFAM - Google (Alphabet), Apple, Facebook (Meta), Amazon, Microsoft).

ცენტრალიზებული სოციალური ქსელი კაპიტალისტური პატრიარქალური ნარატივის ნაწილია და ის ძირითად შემთხვევაში წარმოადგენს კომერციულ მანქანას, რომელიც იუზერს ამყოფებს პასიურ სამომხმარებლო პოზიციაში, ამავდროულად ახდენს მისი მონაცემების მუდმივ მონეტიზაციას და ყურადღების ექსპლუატაციას (attention economy/ყურადღების ეკონომიკა). თანამედროვე პლატფორმები ფორმალურად ნეიტრალურები არიან, მაგრამ თითოეული მათგანი უნიკალურად “იდეოლოგიურია" იმ გაგებით თუ როგორ აორგანიზებენ პუბლიკას მათ ირგვლივ. ამ ტერიტორიაზე იუზერი არ წყვეტს არც დადგენილებებსა და პირობებს (terms & conditions), და არც ინტერფეისის დიზაინს; მისი მოქმედებები შეზღუდულია პლატფორმის სტანდარტიზებული ლოგიკით.

ამ სცენარის საპირისპიროა დეცენტრალიზებული ქსელი, რომელსაც ჩვენ ფედივერსის მაგალითზე განვიხილავთ (Fediverse = Federated Universe).

დეცენტრალიზებული ქსელის არსი სცდება დეცენტრალიზაციის მხოლოდ ტექნიკურ ასპექტებს და გადმოსცემს სოციალური ქსელის მართვის მოდელს, ინფორმაციის გაცვლის და შენახვის სტრუქტურას. დეცენტრალიზაციის კონცეფციას მივყავართ ძალაუფლების დანაწილებისა და დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს პრინციპებთან.



-- ქსელების დიაგრამა: პოლ ბარანი [1964]

ცენტრალიზებული ქსელების კრიტიკა კიბერ და ტექნო ფემინისტური, ასევე ტრანსფემინისტური პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია.

დიდი ტექის არაეთიკური საქმიანობის საპასუხოდ წარმოიქმნა ფემინისტური სერვერები, რომელიც მიმართულია ავტონომიური ინფრასტრუქტურის შექმნისკენ. ეს უკანასკნელი კი თავის მხვრივ უზრუნველყოფს მონაცემების, პროექტების და ფემინისტური მეხსიერების შენახვას, კოლექტიურ მოვლასა და მართვას. ფემინისტური სერვერების აუცილებლობა გამოწვეულია იმ უამრავი პრობლემით, რომელსაც კომერციული სოც ქსელების ტერიტორიაზე ვაწყდებით: ფემინისტური, ტრანსფემინისტური და ქვიარ აქტივისტების მიმართ ონლაინ ძალადობა ტროლინგის, მაჩოისტური ჩაგვრის/შევიწროების და სიძულვილის გამოხატვის სახით; გენდერულ ნორმატივებზე დაფუძნებულ ცენზურას; სახელმწიფოს მიერ მომხმარებელთა მონაცემების გამოყენებას ძალაუფლების გასამყარებლად. "ფემინისტური ინტერნეტი ვერ იარსებებს გამართულად აწყობილი ავტონომიური ფემინისტური სერვერების გარეშე" (The TransHackFeminist (THF!) convergence-ის ანგარიში).

მინადორასერვერიც ფემინისტური სერვერის პრინციპებს ეფუძნება. ეს არის ოთხი ქალისგან შემდგარი კოლექტივი, სადაც არაჰომოგენური და ფემინისტური პერსპექტივა ანაცვლებს პატრიარქალურ ფიქრის მოდელს. ჩვენ ვართ იზნ, თეკლა, მაკო და ნონა, და ჩვენი სურვილია საქართველოში ემანსიპატორული სახელოვნებო ხელსაწყოებისა და პლატფორმების გააქტიურება, და ამ პროცესში კრიტიკული კავშირების დამყარება.

ჩვენი სერვერის სახელი უკავშირდება მინადორა ორჯონიკიძეს, რომელიც იყო მემარცხენე პოლიტიკოსი და აქტივისტი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში.

კოლექტივის დაფუძნების მიღმა თითქმის ერთ წლიანი მუშაობა დგას. ჩვენი გაერთიანებისკენ პირველი პრაქტიკულად გადადგმული ნაბიჯი იყო მონაწილეობა ვარიასა (Varia, როტერდამი) და Lurk-ის მიერ ორგანიზებულ უორქშოფში, შემდეგ ქალთა ფონდის მხარდაჭერის მოპოვება და დღეს უკვე თქვენთან ამ ყველაფრის გაზიარება და მინადორას მიკრო ქსელში ახალი წერტილებისა თუ კავშირების შექმნა.

--ნონა

მინდაროასერვერის კოლექტივის წევრები სხვადასხვა სფეროში ვმუშაობთ. მე, როგორც კულტურის პრაქტიკოსს, მაინტერესებს თუ როგორ შეიძლება არსებობდეს სახელოვნებო პრაქტიკა ალტერნატიულ სივრცეებში, იქნება ეს ფიზიკური ურბანული სივრცე თუ ციფრული ინფრასტრუქტურა.

გაციფრულებულ რეალობაზე დაკვირვებით, მივხვდი, რომ ჩვენი მონაცემების დამუშავება, მონეტიზაცია და ჩვენს წინააღმდეგ გამოყენება საჭიროებდა უფრო მეტ შესწავლას, რამაც გამიჩინა კვლევის დაწყების სურვილი. უშუალოდ ქსელზე ფოკუსირების საწყისი წერტილი იყო ფესტივალი ტრანსმედიალეს 2020 წლის “The eternal network” - გამოცემაში მოხალისეობრივად მონაწილეობა, სადაც პირველად გადავიკვეთე დეცენტრალიზებული ქსელის კონცეფციასთან.

შეგვიძლია თუ არა კომერციული სოციალური ქსელების მიღმა არსებობა, რომელიც ჩვენი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა ასპექტის ნაწილი გახდა?თანამედროვე პატრიარქალური ინტერნეტი უქმნის თუ არა საფრთხეს უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ პრინციპებს? როგორ შეგვიძლია პოსტ-დიჯითალ სამყაროს გამოწვევებს ვუპასუხოთ სახელოვნებო პრაქტიკით? ეს და სხვა მრავალი კითხვა ამოძრავებს ჩემს ინტერესს კოლექტიური შესწავლის, ახალი აღმოჩენებისა და ცოდნის გაზიარებისკენ საქართველოში ადგილობრივ თემთან ერთად.

--თეკლა

როგორ იწყება ჩემი ამბავი? სიმართლე რომ ვთქვა, მეც არ ვიცი. დიჯიტალ სივრცე ჩემთვის ყოველთვის საინტერესო იყო, განსაკუთრებით მის გავლენაზე დაკვირვება, სხვადასხვა მახეების ამოცნობა და მათი კარგად შესწავლა. თუმცა, ძირფესვიანად შესწავალა სულ ახალი დაწყებული მაქვს. ასე რომ, შენც ვინც ამას კითხულობ, თუ ჩემნაირად ხარ, არ შეგეშინდეს, "გზამკვლევს" აუცილებლად შემოგაწვდით, რომ უფრო მარტივი იყოს შენთვის ნავიგაცია ალტერნატიულ დეცენტრალიზებულ სივრცეში, სადაც შენი პირადი ინფორმაციით არავინ ვაჭრობს. არ შეგაშინოს უცხო სიტყვებმა, ამას იმიტომ ვამბობ, რომ მეც ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში და მინდა დახმარების ხელი გამოგიწოდო.

ყოველდღიური გამოყენებისას ყოველთვის ვაკვირდებოდი სხვადასხვა პალტფორმების გავლენას ჩვენს რეალობაზე, მაგალითად: როგორ “მტენიდა” ერთხელ დასერჩილ პროდუქტს ორი კვირა ფეისბუქი და რამხელა ინფორმაციას ფლობდა გუგლი ჩემს ადგილმდებარეობაზე, იმ შემთხვევაშიც კი თუ ლოკაციის სერვისი გამორთული მქონდა. მახსოვს ბერლინელი არტისტის ექსპერიმენტი და გუგლის დატროლვა, რომელმაც მთელი ჩემი აღქმა თავდაყირა დააყენა და დიადი GAFAM-ის გავლენებზე სხვა კუთხით დამაფიქრა.

პირველად კაპიტალისტური პლატოფრმების ფესვებში ჩასვლა კემბრიჯის ანალიტიკის და ფეისბუქის სკანდალის დროს დავიწყე. მალევე მოყვა ჩემი აწ უკვე ერთ-ერთი საყვარელი ფრაზა “If you are not paying for it, you're not the customer; you're the product being sold.” (ქართ: თუ შენ არ იხდი თანხას, შენ არ ხარ მომხმარებელი; შენ ხარ პროდუქტი, რომელსაც “გყიდიან”). ამ ფრაზის გაგებიდანვე თავში ჩამებეჭდა ეს სიტყვები და დაიწყო ჩემი თავგადასავალი კაპიტალისტური სტრუქტურების სამყაროსა და ალტენრატიული გზების პოვნაში.

გზადაგზა GAFAM-ის ტერიტორიის გარეთ არსებულ პლატფორმებზე წვდომა ერთგვარ აქტივისტურ ნარატივად ჩამოყალიბდა პატრიარქალური და კაპიტალისტური სტრუქტურების წინააღმდეგ. კიდევ ერთი აქტივისტური მიმართულება, რომელიც ჩემს იდენტობას დაემატა. რომ მკითხოთ ვინ ხარ, რას აკეთებო, ბევრ მიმართულებას ჩამოგითვლით: ვიდეო პროდუსერი , ფოტოგრაფი, მუსიკა (ჩემი ახალი გატაცება დჯინგია), პროექტების მენეჯერი, ჟურნალისტი, და სხვა, მაგრამ ყველას ახლოს ჩემთან აქტივზმი დგას. აქტივისტური სულისკვეთება სკოლიდან მომსდევს და დღევანდელ ჩემს საქმიანობაშიც მყარად აქვს სხვადასხვა მიმართულებებით ფესვები გამდგარი.

--ᲘᲜᲜ

სერვერთან პრაქტიკული შეხება პირველად 2020 წელს მქონდა, ექსპერიმენტული გამომცემლობის [xpub] სამაგისტრო კურსის კონტექსტში. ამავე პერიოდში დავუახლოვდი ჩემი კომპიუტერის ტერმინალსაც და უკან აღარც მომიხედავს. ტერმინალს ვიყენებ ყოველდღიურობასა და სახელოვნებო პრაქტიკაში. ამავდროულად, სახლში მოვიწყვე ავტონომიური სახელოვნებო ინფრასტრუქტურა, გადანაწილებული რამდენიმე პატარა ექსპერიმენტულ სერვერზე.

ეს ინფრასტრუქტურა მოიცავს ჩემს ვებსაიტებს, ექსპერიმენტულ კოდებს, ეთერფედის ინსტანციასა [eth.leverburns.blue] და ტექსტუალურ ვებ ინეტრფეისს უორქშოპებისა და შეხვედრებისთვის.

> :// ეთერფედი არის ღია წყაროს/კოდის პროგრამა კოლაბორაციული და ასინქრონული წერისთვის.

:// ჩემი ინსტანცია შეგიძლია თავისუფლად გამოიყენო, თუმცა გირჩევ ტექსტის ფაილების ჩამოტვირთვასა და ლოკალურად შენახვას, რადგან [ექსპერიმენტული] სერვერი შეიძლება იყოს ეფემერული და ხანდახან ხელმიუწვდომელი [მაგალითად როცა საბინადროს ვიცვლი]

ჩემი ინსტანცია შეგიძლია თავისუფლად გამოიყენო, თუმცა გირჩევ ტექსტის ფაილების ჩამოტვირთვასა და ლოკალურად შენახვას, რადგან [ექსპერიმენტული] სერვერი შეიძლება იყოს ეფემერული და ხანდახან ხელმიუწვდომელი [მაგალითად როცა საბინადროს ვიცვლი]

მას შემდეგ, რამდენიმე ფემინისტურ სერვერსა თუ რადიკალურ ტექნოლოგიურ კოლექტივში ვარ ჩართული [systerserver, anarchaserver, solisoft]. აქ განსხვავდება მიდგომები, სტრუქტურა, დინამიკა, როლების ფორმულირება, მიზნები და ასე შემდეგ, თუმცა სამივე მოიაზრებს სოლიდარობას, კოლექტიურ მოვლასა და სწავლას, და სოცილიზაციას ტექნოლოგიის გავლით/ირგვლივ და არა ტექნოლოგიისთვის.

--მაკო

როგორც ნონამ ახსენა მინადორასერვერის წევრები სხვადასხვა სფეროში ვმუშაობთ და ჩემი სამუშაო სფერო არაა პირდაპირ კავშირში კულტურასთან/ხელოვნებასთან. მე ვმუშაობ ღვინის სფეროში და ამის პარალელურად აქტიურად ვარ დაინტერესებული ხელოვნური ინტელექტის ტენდენციებით, ციფრული რეალობების ეთიკით, ასევე დიდი ტექის ალგორითმის და პოპ კულტურის გავლენით, რაც საზოგადოების აზრს, ქცევასა და შეხედულებებს აყალიბებს.

ჩემთვის ციფრული სამყარო ყოველთვის საინტერესო და გამოწვევებით სავსე თემა იყო, მაგრამ დიდი ტექის შესაძლებლობების და საფრთხეების გაცნობიერებამ შერეული ემოციები მოიტანა. განსაკუთრებით იმის გააზრება იყო მტკივნეული თუ რამდენად მოწყვლადია ჩვენი ციფრული ინფორმაცია და როგორ არსად არ ვლაპარაკობდით ამის შესახებ.

ამ ეტაპზე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ანტიკაპიტალისტური, უსაფრთხო სივრცეებისა და ხელსაწყოების აღმოჩენა, და ამაზე ადამიანებთან საუბარი, რომ ერთად ვიპოვოთ მექანიზმები, რომელიც დაგვეხმარება გადავრჩეთ თანამედროვე სამყაროში.

ქსელი

- ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისა და კვანძების ერთობლიობა, რომელთა შორის ხდება ინფორმაციის გაცვლა.

იუზერი

- წევრი - ადამიანი, რომელიც იყენებს (და არა მოიხმარს) დეცენტრალიზებულ პლატფორმას
- მომხმარებელი - ადამიანი, რომელიც იყენებს ცენტრალიზებულ პლატფორმას
- სტუმარი - ადამიანი, რომელიც ჯერ არ არის რომელიმე ინსტანციის წევრი

კვანძი

- ქსელის ყველაზე საბაზისო ერთეული ნაწილი; ეს შეიძლება იყოს ქსელის მომხმარებელი ან კომპიუტერი.
- აქტიური მოწყობილობა ქსელში, რომელიც იღებს, აგზავნის ან ამისამართებს მონაცემებს საკომუნიკაციო არხებით.

ლინკი [კავშირი/ბმული]

- კავშირი ორ კვანძს შორის.

სერვერი

- კვანძი ქსელში, რომელიც უზრუნველყოფს ერთ ან მეტ სერვისს/ფუნქციას.
- ფიზიკური მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებებს. ხშირად სერვერი შექმნილია კონკრეტული ამოცანების ეფექტურად და საიმედოდ შესასრულებლისთვის.
- კვანძი, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა კვანძთან.

ცენტრალიზებული ქსელი

- ქსელი, რომელშიც ყველა კვანძი (იგივე პლატფორმის წევრი ან მომხმარებელი) აგზავნის საკუთარ მონაცემებს ერთ ცენტრალურ კვანძში (იგივე, სერვერი). შემდეგ კი, ცენტრალური სერვერი გადააამისამართებს მონაცემებს განსაზღვრულ მიმღებთან. ცენტრალიზებული სოციალური ქსელის მაგალითებია: ფეისბუქი და ტვიტერი.

განაწილებული ქსელი

- ქსელი, რომელშიც არ არის ცენტრალური სერვერი და თითოეული კვანძი დაკავშირებულია სხვადასხვა კვანძთან; მონაცემები მოგზაურობს ნებისმიერი დაკავშრებული კვანძის გავლით, რათა უმოკლესი მარშრუტით მივიდეს ინფორმაცია მიმღებამდე.

დეცენტრალიზებული ქსელი

- ქსელი, რომელსაც ქმნის სხვადასხვა ცენტრალიზებული ქსელი/კვანძი. თითოეულ კვანძს აქვს თავისი სერვერი. ასეთ ქსელში ინფორმაციის მიმოცვლა ხდება პირდაპირ ამ კვანძებს შორის, რაც ხელს უწყობს რისკებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას კვანძებს/სერვერებს შორის.

დეცენტრალიზაცია

- დეცენტრალიზაცია გულისხმობს იმას, რომ მონაცემები არ ინახება ცენტრალურად მართულ რამდენიმე სერვერზე, არამედ გადანაწილებულია ცალკეულ დამოუკიდებელ სერვერებზე, რომელებიც შეიძლება ერთობლივად წარმოადგენდნენ ფედერაციულ ქსელს.

ფედერაცია

- ფედერაცია აღნიშნავს გლობალურ სოციალურ ქსელს, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული კვანძებისგან. თითოეული კვანძი არის 'კონკრეტულ სერვერზე მოწყობილი მასტოდონის პროგრამა' (იგივე ინსტანცია), რომელიც ურთიერთდაკავშირებულია ფედერაციული სოციალიური ქსელების პროტოკოლებით. ეს სოციალური კერები ქმნიან დეცენტრალიზებულ და ფედერაციულ სოციალურ ქსელს, რომელსაც მიღიონობით მომხმარებელი ჰყავს მთელს მსოფლიოში. ასეთი უნდა ყოფილიყო ინტერნეტიც, თუმცა … პოლიტიკაში ფედერაცია გულისხმობს სახელმწიფოების (ან სხვა ერთეულების) გაერთიანებას, რომლებიც ნაწილობრივ თვითმმართველნი და დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ასევე აქვთ კონკრეტული პასუხისმგებლობები და მოვალეობები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლებიდან მომდინარეობს და შესაბამისად აერთიანებს მათ.

პროტოკოლი

- სტანდარტიზებული/მიღებული წესები, პროცედურები და კომუნიკაციის მეთოდები, რომლის მიხედვითაც ხდება მოწყობილობებსა და სისტემებს შორის ურთიერთქმედება და ციფრული მონაცემების გადაცემა და ურთიერთგაცვლა.

თავისუფალი პროვრამა

- თავისუფალი პროგრამა მოიაზრებს მომხმარებლების თავისუფლებას გადაწერონ, გაავრცელონ, შეისწავლონ, შეცვალონ და გააუმჯობესონ ის.

ინსტანცია

- ინსტანცია არის ერთ კონკრეტულ ფიზიკურ ან ვირტუალურ სერვერზე მოწყობილი პროგრამა.

მასტოდონი

- მასტოდონი არის თავისუფალი და ღია წყაროს (საწყისი კოდი) პროგრამა დეცენტრალიზებული სოციალური ქსელის შესაქმნელად. მას აქვს ტვიტერის (twitter) სერვისის მსგავსი მიკრობლოგის მახასიათებლები და სერვისები, რომლებიც შექმნილია ბევრი დამოუკიდებელი მასტოდონის კვანძისგან (ანუ ინსტნაციისგან). თითოეულ ინსტანციას აქვს საკუთარი ქცევის კოდექსი (code of conduct), მომსახურების პირობები (terms of service), უსაფრთხოების ოფციები (privacy options) და მოდერაციის პოლიტიკა (moderation policies).

მასტოდონის ინსტანცია

- სერვისის მისაღებად, ტვიტერზე ყველა შედის სისტემაში ერთი საიტის ან აპლიკაციის გამოყენებით, ხოლო მასტოდონზე შედიხარ კონკრეტულ ინსტანციაზე. მასტოდონი არის დაკავშირებული კვანძების სერია და ინსტანცია არის კონკრეტული კვანძი, რომელზეც შენი ანგარიში ცხოვრობს.

--არტემის გრიდაკის ლექსიკონის თარგმანი--

კოლექტიურად დავარედაქტირეთ უორქშოპის მონაწილეებთან ერთად >> მაკო / მარიტა / მარიამი / ქეთი

11-12 ნოემბერი // 2022